

ტარიფების სტრუქტურირება ნაწილი 1: სტრუქტურირების
მიზანი და პრინციპები (მათ შორის მომსახურების საფასურის კლასების
შესწავლა და პრინციპები განვითარებადი ქვეყნებისათვის)



"NARUC"-ის საპარტნიორო პროგრამა ენერგორეგულირების სფეროში

*საქართველოს ენერგეტიკის და წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისია
და
ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო*

ავტორი

პეპ სტოუნერი

ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო

29 ივნისი 2009



მიმოხილვა

- ❖ ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები
- ❖ გადამწყვეტი ფაქტორების (ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი და ა.შ.) დადგენა და აწონ-დაწონვა
- ❖ მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა
- ❖ განვითარებად ქვეყნებში გამოსაყენებელი პრინციპები



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები

- ❖ შეკითხვა: რას წარმოადგენს ტარიფების სტრუქტურირება?
- ❖ პასუხი: ფასების სტრუქტურას
 - ანუ, კომპანიის მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების საფასურის ფორმა და პერიოდულობა:
 - ◆ მოხმარებაზე დაფუძნებული
 - ◆ მუდმივი, განმეორებითი ხარჯები
 - ◆ დაყენების, მიერთების და გამორთვის საფასური
- ❖ ტარიფების მარტივი სტრუქტურა:
 - ფასი=Price = საჭირო შემოსავალი / მომხმარებლები
 - ფასი = საჭირო შემოსავალი / გაყიდვები



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

- ❖ ტარიფების სტრუქტურირების ამოცანები, ფაქტიურად, რეგულირების ამოცანებია
- ❖ ტარიფების სტრუქტურირების ამოცანები ხშირად ურთიერთწინააღმდეგობაშია



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

- ❖ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ამოცანები:
 - ტარიფები უნდა შეესაბამებოდეს საერთო შემოსავლის მიღების საჭიროებას
 - ტარიფების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს სტაბილური და პროგნოზირებადი შემოსავლის მიღება
 - თავად ტარიფებიც სტაბილური და პროგნოზირებადი უნდა იყოს



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

❖ ხარჯებთან დაკავშირებული ამოცანები:

- ტარიფები ისე უნდა იყოს გათვლილი, რომ ეკონომიურად ეფექტიანი მოხმარება წახალისოს (სტატიკური ეფექტიანობა)
- ტარიფებში უნდა აისახოს მიმდინარე და სამომავლო პირადი და სოციალური ხარჯები (და სარგებელი), რომელიც მომდინარეობს მომსახურების გაწევიდან
- ხარჯები სამართლიანად უნდა იყოს განაწილებული მომხმარებელთა და მომხმარებელთა კლასებს შორის



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

❖ ხარჯებთან დაკავშირებული ამოცანები (გაგრძელება):

- არასათანადო დისკრიმინაცია თავიდან უნდა იქნას აცილებული
- ტარიფები ხელს უნდა უწყობდნენ მოთხოვნასა და მიწოდებაში სიახლეების დანერგვას (დინამიური ეფექტიანობა)

❖ პრაქტიკული მოსაზრებები :

- ტარიფების სტრუქტურა უნდა იყოს შესაძლებლობისდაგვარად მარტივი, გასაგები, საზოგადოებისათვის მისაღები და ადვილად სამართავი



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

❖ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული
საკითხები:

– დაწესებულმა ტარიფებმა რეგულირებულ
კომპანიას საკმარისი შესაძლებლობა უნდა
მისცეს იმისათვის რომ:

- ◆ ამოიღოს კეთილგონივრულად გაწეული ხარჯები, მათ
შორის ჩადებული ინვესტიცია და
- ◆ ნახოს საკმაო მოგება კეთილგონივრულად გაწეული
ინვესტიციის ფარგლებში გაწეული სხვა ხარჯების
(არაამორტიზირებული ნაწილი) ამოსაღებად



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

- ❖ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები:
(გაგრძელება)
 - ამგვარად დაწესებული ტარიფები საშუალებას აძლევს კომპანიას შეასრულოს მომსახურების ვალდებულება, გადაუხადოს დივიდენდები აქციონერებს და მიიზიდოს ახალი კაპიტალური ინვესტიციები



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

- ❖ ხარჯებთან დაკავშირებული საკითხები:
 - იქნება თუ არა ერთეულის საშუალო საფასურზე მიბმული ტარიფები ეკონომიკურად ეფექტიანი?
 - ◆ საშუალო ხარჯების შედარება ზღვრულ ხარჯებთან
 - ◆ გრძელვადიანი ხარჯების შედარება მოკლევადიანთან
 - კერძო ფინანსური ხარჯების შედარება საერთო საზოგადოებრივ ხარჯებთან
 - ◆ ელექტროენერჯის წარმოება-მიწოდებიდან მომდინარე გარემოსადმი მიყენებული ზიანის საფასური
 - ვინ და რა ხარჯები უნდა გაწიოს?
 - ◆ ხარჯების მიზეზ-შედეგობრივი პრინციპები



ტარიფების სტრუქტურირების მიზანი და პრინციპები (გაგრძელება)

❖ დასკვნა:

- დააწესეთ ეკონომიკურად ეფექტიანი და სამართლიანი ფასები და, იმავედროულად, მიეცით რეგულირებულ კომუნალურ სამსახურს საკმაო საშუალება ამოიღოს კანონიერად გაწეული ხარჯები.
- უზრუნველყავით ტარიფების სტაბილურობა და პროგნოზირებადობა, და, იმავედროულად, ნება დართეთ მიიღებუ იქნას საკმარისი შემოსავალი იმისათვის რომ კომპანიამ შეძლოს კონკურენტული შეჯიბრი მსგავსი რისკის მქონე ინვესტირების სხვა მაძიებელთან.
- ტარიფები უნდა იყოს მარტივი, გასაგები, საჯაროდ მისაღები და ადვილად სამართავი.



გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა და აწონ-დაწონვა (ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი და სხვა ფაქტორები)

❖ ეკონომიკური რეგულირება:

- საზოგადოებრივი ან სამთავრობო, აშკარად გამოხატული, ჩარევა ბაზარზე საჯარო პოლიტიკის ისეთი მიზნის ან ისეთი სოციალური მიზნის მისაღწევად, რასაც ბაზარი საკუთარი ძალისხმევის ხარჯზე ვერ ახერხებს



გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა და აწონ-დაწონვა (ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი და სხვა ფაქტორები) (გაგრძელება)

- ❖ ეკონომიკური რეგულირების ამოცანები
 - ეკონომიკური ეფექტიანობა
 - სამართლიანი ფასები მომხმარებლებისათვის, მწარმოებლებისათვის და რეგულირებული ერთეულისათვის
 - დისკრიმინაციის გარეშე ხელმისაწვდომი კეთილგონივრული მომსახურება
 - ადეკვატური ხარისხი და საიმედოობა
 - პოლიტიკის სხვა მოსაზრებები (სოციალური ამოცანები)



გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა და აწონ-დაწონვა (ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი და სხვა ფაქტორები) (გაგრძელება)

- ❖ ეკონომიკური რეგულირების მიზნები
 - ინვესტირების მოზიდვა
 - პრივატიზების ხელშეწყობა
 - უფლებები და მოვალეობები ნათლად უნდა იყოს გაწერილი და შესრულებადი უნდა იყოს
 - რეგულირების პროცესი და მისი შედეგები გამჭვირვალე და პროგნოზირებადი უნდა იყოს
 - გამჭვირვალე ფრანჩიზები
 - სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა ყველგან, სადაც არსებობს ამის საშუალება



გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა და აწონ-დაწონვა (ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი და სხვა ფაქტორები) (გაგრძელება)

- ❖ ეკონომიკური და ფასების რეგულირების საჭიროება
 - პროდუქტი უმნიშვნელოვანესადაა მიჩნეული
 - პროდუქტის მიწოდების განსაკუთრებული ეფექტიანობა ერთ მიმწოდებელს ახასიათებს
 - ბუნებრივი მონოპოლია
 - ბაზრის წარუმატებლობის სხვა შემთხვევები
 - ◆ გარე (გარემოს) ხარჯები არ არის სრულად ასახული საფასურში
 - ◆ მომხმარებლის დაცვა
 - ◆ შეთქმულება (ანტიმონოპოლიური მოსაზრებანი)
 - ◆ ბაზრის გადამეტებული მომძლავრება
 - ◆ დისკრიმინაციური ფასები
 - ეკონომიკური ეფექტიანობა
 - პოლიტიკის სხვა მოსაზრებანი
 - ინფორმაციული ასიმეტრია



გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა და აწონ-დაწონვა (ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი და სხვა ფაქტორები) (გაგრძელება)

❖ რეგულირების საჭიროება

- “საჯარო ინტერესების გავლების მყოფი” ბიზნესის ცნება
 - ◆ ბუნებრივი მონოპოლია – ერთ კომპანიას შეუძლია აწარმოოს საჭირო ნაწარმის სასურველი რაოდენობა ნაკლები ხარჯით ვიდრე ამას შეძლებს ერთზე მეტი ფირმა
 - ◆ წარმოების მასშტაბის გაზრდის გზით ეფექტიანობის ზრდა
- ბუნებრივი მონოპოლიის გაჩენის მიზეზები
 - ◆ ტექნოლოგიები
 - ◆ კაპიტალოტევალობა
 - ◆ მუდმივი ხარჯების მაღალი შეფარდება საერთო ხარჯებთან



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა

- ❖ ორი ტიპის მომსახურების ხარჯების შესწავლა
 - ჩართული ანუ ტარიფში მთლიანად შეტანილი მომსახურებაზე გაწეული ხარჯის შესწავლა
 - ◆ გამოიყენება ის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები, რაც ისტორიულად შეტანილი იყო ტარიფში (დახარჯული, დაუბრუნებელი ან ინვესტირებული)
 - ◆ კომუნალური სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის დროს წარმოებული ხარჯების საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებზე აგებული
 - დიფერენცირებული ან ზღვრული ხარჯების კლასის შესწავლა
 - ◆ დამატებითი მომსახურების გასაწევად საჭირო ხარჯები
 - ◆ რესურსების საფასურის წინდახედული შესწავლა



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

- ❖ ჩართული ანუ ტარიფში მთლიანად შეტანილი ხარჯების კლასის შესწავლის საფეხურები:
 - ფუნქციონალიზაცია
საერთო საჭირო შემოსავლის კომპანიის ელექტროენერგიით ოპერირების ფუნქციონალურ კომპონენტებად დაყოფა:
 - ◆ წარმოება
 - გენერაცია და/ან შეძენილი ენერჯია
 - ◆ გადაცემა
 - მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები
 - ქვესადგურები და დაბალი ძაბვის გადამცემის ხაზები



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

❖ ჩართული ანუ ტარიფში მთლიანად შეტანილი ხარჯების კლასის შესწავლის საფეხურები:
(გაგრძელება)

- ფუნქციონალიზაცია (გაგრძელება)

◆ განაწილება

- გამანაწილებელი ქვესადგურები
- განაწილების ძირითადი ხაზები
- ტრანსფორმატორები
- განაწილების მეორადი ხაზები
- მრიცხველები, ხაზები მომხმარებელამდე, გამრიცხველიენობასთან დაკავშირებული მომსახურება
- მომხმარებელთა მომსახურება
- პირდაპირი დანიშნულება, მაგალითად, გარე განათება

◆ ზოგადი (რომელის ფუნქციონალიზაციაც შემდგომში ხდება სამი პრიორიტეტული კატეგორიის მიხედვით)

- ზოგადი საწარმო, ადმინისტრაციული და ზოგადი



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

- ❖ ჩართული ანუ ტარიფში მთლიანად შეტანილი ხარჯების კლასის შესწავლის საფეხურები: (გაგრძელება)
 - კლასიფიკაცია
ფუნქცია-მინიჭებული ხარჯების კლასიფიკაციის კატეგორიების მიხედვით განაწილების პროცესი კომუნალური სამსახურის მიერ გასაწევი მომსახურების კომპონენტების ღირებულების საფუძველზე (“ხარჯების მიზეზ-შედეგობრიობა”):
 - ◆ მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები
 - სისტემიდან კილოვატებში გამოხატული უშუალო მოთხოვნის მიხედვით ცვალებადი ხარჯები
 - ◆ ენერგიასთან დაკავშირებული ხარჯები
 - ხარჯები, რომლებიც იცვლება კოპანიის მიერ მომხმარებლისათვის მისაწოდებლად გენერირებული და/ან შექმნილი კილოვატ-საათების მიხედვით
 - ◆ მომხმარებელთან დაკავშირებული ხარჯები
 - ხარჯები, რომლებიც იცვლება კომპანიის მიერ მომსახურებული მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

- ❖ ჩართული ანუ ტარიფში მთლიანად შეტანილი ხარჯების კლასის შესწავლის საფეხურები: (გაგრძელება)
 - განაწილება
მომხმარებელთა კლასების მიხედვით ხარჯების განაწილების პროცესი:
 - ◆ მომხმარებელთა კლასების კატეგორიზაცია ეფუძნება ისეთ მოსაზრებებს, როგორცაა:
 - დატვირთვის ოდენობა
 - ძაბვის დონე, რომლითაც ხდება მომხმარებლის მომსახურება და
 - მომსახურების სხვა მახასიათებლები როგორცაა საყოფაცხოვრებო მომხმარებლის სრული თუ უსრული ელექტრიფიკაცია და გააჩნია თუ არა მომხმარებელს მოთხოვნაზე დაფუძნებული მრიცხველი
 - ◆ მომხმარებელთა კლასების ძირითადი კატეგორიებია სამეწარმეო (მსხვილი და წვრილი), კომერციული (მსხვილი და წვრილი) და საყოფაცხოვრებო
 - ◆ განაწილების პროცედურის გამოყენების შედეგად მიღებულ უნდა იქნას პროცენტული წილების ერთობა რომლის ჯამიც კლასიფიკაციის ყველა კატეგორიის დაჯამებისას ხარჯების 100% უნდა შეადგენდეს



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

❖ დიფერენცირებული ანუ ზღვრული ხარჯების კლასის შესწავლა

– ზღვრული ხარჯები (გრძელვადიანი)

- ◆ ტარიფების სტრუქტურირებისას, ვერმონტი, ჩვეულებრივ, აფასებს როგორც ჩართულ (საბუღალტრო) ხარჯებს ასევე ზღვურლ (სამომავლო) ხარჯებსაც
- ◆ ეკონომიკური ეფექტიანობა სამომავლო ცნებაა და, შესაბამისად, ძირითად ყურადღებას გრძელვადიან ზღვრულ ხარჯებს უთმობს
- ◆ არც ჩართული და არც დიფერენცირებული მომსახურების შესავლის მიდგომა გამოიყენება მკაცრად, კომუნალური სამსახურები და მარეგულირებელი ორგანოები, ჩვეულებრივ, ცდილობენ დროის განმავლობაში თანდათანობით გადავიდნენ სამომავლო ზღვრული ხარჯების მიდგომაზე (ტარიფისა და შემოსავლის სტაბილურობა, პროგნოზირებადობა, ბუღალტრული ხარჯების ამოღება და სამომავლო ზღვრული ხარჯების მაკომპენსირებელი ცვალებადობა)



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

- ❖ დიფერენცირებული ანუ ზღვრული ხარჯების კლასის შესწავლა (გაგრძელება)
 - **საბაზრო ხარჯების შეფასება**
 - ◆ ენერჯის მოკლევადიან ფასებს აწესებს ადგილობრივი საბითუმო ბაზრები “ადგილობრივი ზღვრული ფასის” (“LMP”) მეშვეობით.
 - ◆ ვერმონტის კომუნალური სამსახურები ზღვრულ ფასად იძენენ ელექტროენერჯიას რეგიონალურ ბაზარზე
 - ◆ ამჟამად, ვერმონტის კომუნალური მომსახურების მომხმარებლების ძალზედ მცირე ნაწილის მიმართ გამოიყენება მოკლევადიან საბაზრო ფასზე დაფუძნებული ტარიფი. საბაზრო ფასების საკითხი ფასების დინამიური ფორმირების თვალსაზრისით ამჟამად განიხილება საჯარო მომსახურების საბჭოს მიერ.
 - ◆ ხსენებული კვლევის ფარგლებში აგრეთვე განიხილება თანამედროვე გამოყენების დროის ამთვლელი მრიცხველების გამოყენების საკითხი, რაც აუცილებელია ფასების დინამიური ფორმირებისათვის



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

- ❖ დიფერენცირებული ანუ ზღვრული ხარჯების კლასის შესწავლა (გაგრძელება)
 - **ალტერნატიული ღირებულება**
 - ◆ დაკავშირებულია ზღვრული ხარჯების ცნებასთან ...,
 - ◆ ზღვრული ალტერნატიული ღირებულება (“ზად”, “MOC”) აერთიანებს ალტერნატიული ღირებულებისა (რაიმე საქმიანობისათვის გამოსაყენებელი რესურსის საუკეთესო ალტერნატიული გამოყენებელი შესაძლებლობა) და ზღვრული ხარჯის (შემდგომი შესაძენი ერთეულის ღირებულებიდან გამომდინარე სამომავლო ხარჯი) ცნებებს
 - ◆ “ზად”, ჩვეულებრივ, მოიცავს წარმოების ზღვრულ ხარჯებს, რომელსაც ემატება გარემოებებიდან გამომდინარე და ცვეტის ხარჯები (ისეთ დონეზე, რასაც საბაზრო ფასები სრულად ვერ ასახავენ ხოლმე).



მომსახურების ხარჯების კლასების შესწავლა (გაგრძელება)

❖ მომსახურების განაწილების ხარჯების კლასი

- ხარჯების მომხმარებელთა სხვადასხვა კლასის მიხედვით განაწილების პროცესი განხილულ იქნება შემდეგი პრეზენტაციის ფარგლებში:

“ტარიფების სტრუქტურა ნაწილი 2:
როგორ უნდა შევიმუშავოთ ტარიფების
სტრუქტურა”



განვითარებად ქვეყნებში გამოსაყენებელი პრინციპები

❖ ძირითადი პრინციპების წყაროები:

- ყველაზე ფუნდამენტური პრინციპები ეფუძნება კომუნალური მომსახურების სხვადასხვა სფეროებში რეგულირების საუკუნეზე მეტ გამოცდილებას.
- ჯეიმს ს.ბონბრაითმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის ფინანსთა ყოფილმა საპატიო პროფესორმა და ნიუ-იორკის შტატის ენერჯეტიკის სამმართველოს ყოფილმა მინდობილმა პირმა და თავჯდომარემ, მნიშვნელოვანი წილი შეიტანა კომუნალური მომსახურების ყველა სფეროში ისეთი პრინციპების განვითარებას, რაც მიესადაგება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ერებს.
- ბონბრაითს ცენტრი დაარსდა 1992 წელს და ემსახურება მარეგულირებელი და საქმის წარმოების საკითხების კიდევ უფრო გაღრმავებულ შემეცნებას. ხსენებული ცენტრი სასარგებლო წყაროა, ქვემოთ მოცემულია მათი ვებ-გვერდის ბმული::

http://www.terry.uga.edu/exec_ed/bonbright/



განვითარებად ქვეყნებში გამოსაყენებელი პრინციპები (გაგრძელება)

❖ ბონბრაიტის სატარიფო პრინციპები

- ჯეიმს ს.ბონბრაიტის საჯარო კომუნალური სამსახურების ტარიფწარმოების პრინციპები
- ტარიფების ატრიბუტები: მარტივი, გასაგები, საზოგადოებისათვის მისაღები, გამოყენებადი და განმარტებადი
- ეფექტიანობა საჭირო შემოსავლის მისაღებად
- შემოსავლებისა (და ნაღდი ფულის ბრუნვის) სტაბილურობა წლების განმავლობაში
- თავად ტარიფების სტაბილურობა, მოულოდნელი ცვლილებების მინიმალური რაოდენობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არსებული მომხმარებლების სერიოზული გაღიზიანება
- მომსახურების საფასურის სხვადასხვა მომხმარებელთა შორის სამართლიანი განაწილება
- “არასათანადო დისკრიმინაციის” თავიდა აცილება
- ეფექტიანობა, ენერჯის ეფექტიანი მოხმარებისა და კონკურენციის წახალისება
- პროდუქტები და მომსახურება



განვითარებად ქვეყნებში გამოსაყენებელი პრინციპები (გაგრძელება)

❖ ძირითადი პრინციპები მოიცავს შემდგომს:

– ეკონომიკური ეფექტიანობა

◆ ტარიფები ასახავს ყველა ხარჯს და ხელს უწყობს ეფექტიან მომხმარებას ან მოხმარების მოდელის დანერგვას, რაც არ იწვევს ინფრასტრუქტურისა თუ რესურსების გადამეტებულ დატვირთვას

– ეკონომიკური სამართლიანობა

◆ ტარიფების სტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელთა ყველა კლასის მიერ გაწეული ჩართული და სამომავლო ხარჯების სამართლიანი წილის გადახდას

◆ ტარიფების სტრუქტურა უზრუნველყოფს კონკურენტული ბაზრის ან კონკურენტი კომუნალური სამსახურების თანაბარ მოპყრობას სიმძლავრეების ნაკლებობის პირობებში



განვითარებად ქვეყნებში გამოსაყენებელი პრინციპები (გაგრძელება)

- ❖ ძირითადი პრინციპები მოიცავს შემდგომს:
(გაგრძელება)
 - შემოსავლის ადექვატურობას
 - ◆ ტარიფები აძლევს მონოპოლისტურ კომუნალურ სამსახურებს შესაძლებლობას ამოიღონ ხარჯები და შეინარჩუნონ არსებობა ტარიფების სამომავლო გადამხდელების საკეთილდღეოდ
 - მისაღები ტარიფები
 - ◆ ტარიფები, რომლებიც მისაღებია მომსახურების ისეთი ტიპის მიმღებისათვის, რომელიც გულისხმობს მიზნებისა და პრინციპებს თანდათანობით შესრულებას (მოცემული პრინციპი შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა პრინციპებს)



განვითარებად ქვეყნებში გამოსაყენებელი პრინციპები (გაგრძელება)

- ❖ განვითარებადი ქვეყნების მიერ თანამედროვეობის პირობებში გადასაწყვეტი საკითხები მოიცავს შემდგომს:
 - გაქვთ თუ არა დატვირთვის ზუსტი მონაცემები?
 - მოციავს თუ არა თქვენი კომუნალური სამსახურის ბუღალტერია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმას?
 - რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ბუღალტრული ანგარიშგება არ ემთხვევა საწარმოს ასაგებად სინამდვილეში გაღებულ ხარჯებს?
 - არის თუ არა საფასურის ოდენობის განმსაზღვრელი საშუალებები ზუსტი?
 - ◆ რამდენად ზუსტია თქვენი მრიცხველები?
 - ◆ იღებთ თუ არა მხედველობაში ყველა სისტემურ დანაკარგს? (ანუ, დატაცებული ენერგია, სტანდარტული დანაკარგები, საერთო/დამონტაჟებული მრიცხველები)